საჯარო სამართლის იურიდიული პირის –სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს 2025 წლის ანგარიში საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე

ა) 2025 წლის განმავლობაში სსიპ – სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოში (შემდგომ - სააგენტო) შემოვიდა საჯარო ინფორმაციის გაცემის 26 მოთხოვნა/განცხადება. აქედან, დაკმაყოფილდა – 16, მათ შორის, ნაწილობრივ უარი ეთქვა - 3 მოთხოვნას, ვინაიდან მოთხოვნილი ინფორმაცია ეხებოდა პირის პერსონალურ მონაცემებს (სამივე მოთხოვნა შეიცავდა ერთმანეთიდან გამომდინარე საკითხს), დამუშავების პროცესშია - 10 განცხადება, საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის შესახებ მოთხოვნის ფაქტი არ დაფიქსირებულა;

ბ) სააგენტოში შემოსული საჯარო ინფორმაციის გაცემაზე ან გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებები მიღებული იქნა სააგენტოს ხელმძღვანელის მიერ.

გ) „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“, სოციალური დახმარების შესახებ საქართველოს კანონების; „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2024 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“- 2023 წლის 29 დეკემბრის N558 დადგენილების; „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ 2013 წლის 21 თებერვლის N36; „სოციალური დახმარების შესახებ“ 2006 წლის 28 ივლისის N145/ნ საქართველოს მთავრობის დადგენილებების, ,,საქართველოს დედაქალაქის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით ,,რიყე-ნარიყალა“ მგზავრთა გადაყვანისას მოქალაქეთაც ალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ“ 2015 წლის 27 მარტის N6-25 და ,,საქართველოს დედაქალაქის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით ,,რიყე-ნარიყალა“ მგზავრთა გადაყვანისას სამგზავრო ტარიფებისა და ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ 2014 წლის 30 დეკემბრის N20-81 ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებების საფუძვლებზე, სააგენტო აწარმოებს შემდეგ მონაცემთა ბაზებს:

გ.ა) გასაშვილებელ ბავშვთა და მშვილებელთა რეესტრი;

გ.ბ) მინდობით აღსაზრდელებისა და მინდობით აღმზრდელების რეესტრი;

გ.გ) მეურვეობა/მზრუნველობის ქვეშ მყოფი და მხარდაჭერის მიმღები პირების მონაცემთა ბაზა;

გ.დ) სახელმწიფო პროგრამებისა და სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მოსარგებლეთა აღრიცხვის ბაზები.

გ.ე) სამედიცინო დაზღვევის უზრუნველყოფის მიზნით, 24 საათიან სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ მყოფ პირთა/ბავშთა და სააგენტოში დასაქმებულ აღმზრდელთა წარმოებული ბაზები;

გ.ვ) შეღავათიანი მგზავრობის უზრუნველყოფის მიზნით, ქ. თბილისის ტერიტორიაზე მდებარე, სააგენტოს ფილიალებში, სტრუქტურულ და ტერიტორიულ ერთეულებში დასაქმებულ თანამშრომელთა მონაცემთა ბაზები.

გ.ზ) ყოველთვიური შემწეობის თანხის, საანაბარე (სადეპოზიტო) ანგარიშის გახსნასთან დაკავშირებით, მეურვეობა/მზრუნველობის ქვეშ მყოფ არასრულწლოვანების მონაცემები, რომელთაც წარმოეშობა ან უკვე მოპოვებული აქვს დევნილთა, ასევე ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსი.

გ.თ) ძალადობის შემთხვევების შესახებ ინფორმაცია.

აღნიშნული ბაზებიდან პერსონალური მონაცემების შეგროვება, დამუშავება, შენახვა, გაცემა განხორციელდა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საფუძვლებით.

დ) სააგენტოს თანამშრომელთა მიერ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლით გათვალისწინებული საჯარო ინფორმაციის გაცემისთვის განსაზღვრული ვადების დარღვევის გამო, პასუხისმგებელი პირის მიმართ დისციპლინური წარმოება არ მიმდინარეობს. ამ ეტაპზე პასუხისმგებელი პირისათვის დისციპლინური სახდელების დადების ფაქტი არ დაფიქსირებულა;

ე) სააგენტოს მხრიდან, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის საფუძველს წარმოადგენდა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოთხოვნები.

ვ) სააგენტოს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა.

ზ) სააგენტოს მიერ საჯარო ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან, აგრეთვე საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯები, მათ შორის, მხარის სასარგებლოდ თანხის გადახდის შემთხვევები არ დაფიქსირებულა.